

დღეს, კულტურული ურთიერთგაცვლების მაღალი აქტივობის ეპოქაში აუცილებელია ქართული ლიტერატურის გამოყვანა იზოლაციიდან და მისი შეთავაზება საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოებისათვის. ამ პროცესის მთავარ ბერკეტს კი მთარგმნელობითი წრეების მოზიდვა და დაინტერესება წარმოადგენს: თარგმანის მეშვეობით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, რაც ქართული ლიტერატურის ევროპულ კონტექსტში სრულფასოვნად ჩართვის აუცილებელი წინაპირობაა.

„თარგმანის ლაბორატორიის“ ვებ-გვერდის მიზანია საქართველოში მთარგმნელობითი მოღვაწეობის ხელშეწყობა **ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის** შემდგომი პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით. ვებ-გვერდის ძირითადი პრიორიტეტი და მიმართულება ქართულიდან სხვადასხვა უცხო ენებზე შესრულებული თარგმანია. ის ფოკუსირებულია სამ მიმართულებაზე: ა) **მხატვრული თარგმანი**; ბ) **სამეცნიერო თარგმანი**; გ) **თარგმანი შუალედური ენების მეშვეობით**.

ვებ-გვერდზე განთავსდება: საჭირო და კვალიფიციური ინფორმაცია ქართულ ლიტერატურის შესახებ, როგორც კლასიკოსების, ისე – თანამედროვე ავტორების შემოქმედების გათვალისწინებით; ავტორებისა და მთარგმნელების მონაცემთა ბაზები; ქართული ტექსტების და მათი თარგმანების ვრცელი ფრაგმენტები, რაც ხელმისაწვდომი იქნება უცხოური სააგენტოებისა და საგამომცემლო სახლებისათვის. მოიაზრება, რომ ვებ-გვერდი მოიაზრება, რომ განთავსდება საერთაშორისო ინტერნეტ-სივრცეში.

ძირითადი შედეგები:

- ქართული ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი რეალობის გაცნობა ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვის;
- ცნობილი თანამედროვე უცხოელი მთარგმნელებისა და სპეციალისტების დაინტერესება ქართული ლიტერატურული ტექსტების თარგმნით, შორს მიმავალი საგამომცემლო პერსპექტივებით;
- საქართველოში ამჟამად არსებული მთარგმნელობითი პრაქტიკის ობიექტური შეფასება და რეალური ორიენტირების დასახვა.

ბაზა:

- კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA);
- ორგანიზაცია „კროს-კულტურული უნივერსუმი“;
- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

კვალიფიკაცია:

- კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა და ორგანიზაცია „კროს-კულტურული უნივერსუმის“ ბაზაზე არსებული მხატვრული თარგმანის სპეციალიტა ჯგუფი;
- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-ლიტერატურათმცოდნეობითი თარგმანის სპეციალისტა ჯგუფი;
- მოწვეულ კვალიფიციურ მთარგმნელთა ჯგუფი.